ხელშეკრულება№ 01-08-15/407-2018-2

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობის მიზნით

ქ. თბილისი, 10 მაისი, 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „უნივერსიტეტი") და მეორეს მხრივ, შპს "ანაკლიის განვითარების კონსორციუმი", მისი გენერალური დირექტორის ლევან ახვლედიანის სახით (შემდგომში „კომპანია"), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. უნივერსიტეტი კომპანიასთან შეთანხმებითა და დაკვეთით უზრუნველყოფს საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდება კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებისა და კომპანიის მოთხოვნების გათვალისწინებით.

1.2. უნივერსიტეტისა და კომპანიის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „სამშენებლო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებები", „ტრანსპორტი", „ლოჯისტიკა" და პროფესიული პროგრამა - „სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსი".

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. კომპანია, შესაძლებლობების ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას, კერძოდ პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს უნივერსიტეტის მიერ საწარმოო პრაქტიკაზე გაგზავნილი საბაკალავრო პროგრამის: „სამშენებლო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებები" და პროფესიული პროგრამის: „ სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსი" - 040854 - III, IV და V საფეხურის წარჩინებული სტუდენტები.

ბ) უზრუნველყოფს პრაქტიკანტებს მენტორით;

გ) უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

დ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას;

ე) ყოველწლიურად დაასაქმებს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებულ კურსდამთავრებულებს (25-ის ფარგლებში).

2.2. უნივერსიტეტი:

ა) განახორციელებს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) კომპანიასთან შეთანხმებით მოახდენს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას;

გ) ითანამშომლებს კომპანიასთან საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით ერთობლივი კონფერენციების, შევედრების და ლექცია/ტრენინგების ორგანიზების მიზნით;

დ) კომპანიას მიაწვდის პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სიას და პრაქტიკის სილაბუსს.

3. ანაზღაურების წესი და მომსახურების გაწევის ადგილი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება წარიმართება ანაზღაურების გარეშე. საწარმოო პრაქტიკა წლიურად შეადგენს 150...600 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

3.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდება კომპანიის ადგილსამყოფელისა და ოპერირების ადგილის მიხედვით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ყველა დავას, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მის.: მარჯანიშვილის ქ. #6	მის.: კოსტავას ქ. #77
ქალაქი თბილისი, 0102, საქართველო	ქალაქი თბილისი, საქართველო
ლევან ახვლედიანი	არჩილ ფრუნგიშვილი
თარიღი: 10.05.2018	თარიღი: 10.05.2018